

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „პოლიციის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ამოქმედების ახალი ვადის განსაზღვრა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია 2009 წლის დეკემბერში „პოლიციის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის ეფექტიანი ამოქმედების ვადის განსაზღვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის არსია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების ვადად, ნაცვლად 2010 წლის 1 ივლისისა განისაზღვროს 2010 წლის 1 თებერვალი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტების მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას, იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტების მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

მონაწილეობა არ მიუღიათ;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

მონაწილეობა არ მიუღიათ;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია - საქართველოს პარლამენტის წევრი ლაშა თორდია.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია - საქართველოს პარლამენტის წევრი ლაშა თორდია.